საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №19/2019
2019 წლის 24 აპრილი

ქ. თბილისი

„2019 წლის 19 მაისს გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური, მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე და საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2019 წლის 20 მარტის №11/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„2019 წლის 19 მაისს გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური, მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე და საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2019 წლის 20 მარტის №11/2019 დადგენილების (სსმ ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 21/03/2019, 010240000.15.008.016443) პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**
კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**

დანართი

№	ოლქის №	საოლქო საარჩევნო კომისია	საოლქო ხარჯები	საუბნო ხარჯები	დამხმარე და ტექნიკური პერსონალის ხარჯები	სულ მთლიანი ჯამი
1	1	მთაწმინდა	6,038	3,671	14,940	24,649
2	11	საგარეჯო	2,443	212	8,060	10,715
3	18	ახმეტა	5,806	735	6,237	12,778
4	22	მარნეული	5,626	15,975	18,190	39,791
5	38	ადიგენი	3,103	253	8,036	11,392
6	51	ზესტაფონი	5,891	10,131	17,272	33,294
7	56	ჭიათურა	11,574	11,961	17,308	40,843
8	57	ტყიბული	3,204	437	10,383	14,024

9	58	წყალტუბო	4,055	839	7,760	12,654
10	60	ოზურგეთი	5,061	1,040	10,550	16,651
11	67	ზუგდიდი	13,778	15,251	22,556	51,585
12	84	ხულო	8,095	15,361	13,880	37,336